

საქართველო მაკრო მიმოხილვა

გამოცემა 4



Research

აგვისტო 2023

www.pmcresearch.org

ძირითადი მიგნებები



ეკონომიკის ზრდა

2023 წლის პირველი ნახევრის შედეგები
ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები - 2023



ეკონომიკური და ბიზნეს კლიმატი

BAG ინდექსი: საქართველოს ბიზნეს კლიმატი
Ifo ინდექსი: საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

მთლიანი შიდა პროდუქტი
ინფლაცია და ფასები
ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები & მონეტარული პოლიტიკა



შრომის ბაზარი

დასაქმება
ვაკანსიები
ბევერიჯის მრუდი
ხელფასები



საგარეო სექტორი

ვაჭრობა
ტურიზმი
მიგრაცია
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ფულადი გზავნილები



გლობალური ეკონომიკური ტენდენციები

მოკლევადიანი მდგრადობა
მდგრადობა საქართველოში






ძირითადი მიგნებები

- 2021 და 2022 წლებში სწრაფი ორნიშნა ზრდის შემდეგ **საქართველოს ეკონომიკა** 2023 წელს აგრძელებს სვლას **აღმავალი ტრაექტორიით**, თუმცა წინა ორ წელთან შედარებით უფრო ნელი ტემპით.
- 2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ეკონომიკაში გამოიკვეთა რამდენიმე **პოზიტიური მოვლენა**, თუმცა თითოეულ მათგანს ახლავს გამოწვევები და თანმდევი რისკები. ძირითადი ტენდენციები:
 - **ინფლაცია** მნიშვნელოვნად შენედა, თუმცა საბაზო ინფლაცია უცვლელია.
 - **შრომის ბაზარზე** გარკვეული წინსვლის მიუხედავად, **უმუშევრობა** მაღალია და **შრომის ბაზრის ეფექტიანობა** კვლავ ჩამორჩება პანდემიამდელ დონეს.
 - რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან მასობრივი **მიგრაცია** დაკავშირებულია ფულადი გზავნილების ზრდასთან, მეტ მოხმარებასთან და უნარების ტრანსფერთან საქართველოში. მაგრამ ასეთი სახის მიგრაცია კითხვებს აჩენს პოტენციურ ეკონომიკურ დისბალანსზე, ინფლაციურ წნეხსა და სხვა სოციალურ გავლენებზე.
 - საქართველოში გადმორიცხული **ფულადი გზავნილების** მოცულობა კვლავ იზრდება, ამავე დროს კი საქართველოდან ემიგრაციის მარჩვენებლები რეკორდულად მაღალია. შესაბამისად, იზრდება ფულად გზავნილებზე დამოკიდებულების რისკი.
 - **ტურიზმის სექტორის** აღდგენა გაძლიერდა, თუმცა ამავე დროს გაიზარდა რუს ტურისტებზე დამოკიდებულება და წარმოიშვა კითხვები არატრადიციული ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით.
 - საქართველოში **საერთაშორისო ვაჭრობა** მნიშვნელოვნად იზრდება, თუმცა, ძირითადად, უშუალო მეზობლების ხარჯზე, ვაჭრობა ევროპასთან კი ერთგვარ სტაგნაციაშია, ხოლო ჩინეთთან - შემცირებული.
- მოთხოვნის ზრდის ფონზე საქართველოში **ბიზნესსექტორი** შედარებით **ოპტიმისტურად** არის განწყობილი მომავლის მიმართ. შესაბამისად, იზრდება კომპანიათა წილი, რომლებიც ყოველ კვარტალში ზრდიან დასაქმებულთა რაოდენობას. თუმცა ქართველი **ეკონომისტები ნაკლებად ოპტიმისტურად** არიან განწყობილი და მომავალ ეკონომიკურ კლიმატს ნეგატიურ პერსპექტივებში ხედავენ.



ეკონომიკის ზრდა: 2023 წლის პირველი ნახევრის შედეგები

ეკონომიკის ზრდის წინასწარი შეფასება (წ/წ)



- საქართველოს ეკონომიკის ზრდა მნიშვნელოვნად შენედა 2023 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, რაც მიუთითებს ეკონომიკის ორნიშნა ზრდის დასასრულზე. თუმცა, შენელების მიუხედავად, ეკონომიკა კვლავ მნიშვნელოვნად იზრდება - საშუალო ზრდა 2023 წლის პირველ 6 თვეში 7.3% იყო.
- ყველაზე მაღალი ზრდა იანვარში დაფიქსირდა (წ/წ 8.4%), ყველაზე დაბალი - თებერვალში (წ/წ 5.8%).



ეკონომიკის ზრდა: 2023 წლის I კვარტლის შედეგები

შერჩეული სექტორები	ნომინალური მშპ I კვ. 2023*	რეალური მშპ-ს ზრდა	
		I კვ. 2023* / I კვ. 2022*	I კვ. 2023* / I კვ. 2019
ინფორმაცია და კომუნიკაცია (ICT)	784.7	44.2%	131.0%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	170.3	32.9%	12.3%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	602.3	17.2%	56.8%
განთავსება და საკვების მიწოდების საქმიანობები	436.8	15.7%	-3.2%
მშენებლობა	930.2	15.1%	23.6%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	2066.5	14.0%	24.9%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1723.6	-0.3%	4.7%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	625.9	-12.7%	23.4%


- 2023 წლის I კვარტალში, რიგმა სექტორმა აჩვენა მნიშვნელოვანი წლიური ზრდა. 2022 წლის I კვარტალთან შედარებით ყველაზე მაღალი ზრდა **ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში** დაფიქსირდა (+44.2%), რაც თანხვედრაშია სექტორის ბუმთან საქართველოში.
- 2023 წლის I კვარტალში, მაღალი წლიური ზრდა დაფიქსირდა ტურიზმთან დაკავშირებულ ისეთ სექტორებში, როგორცაა: ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (+32.9%), ხელოვნება, გართობა და დასვენება (+17.2%) და განთავსება და საკვების მიწოდების საქმიანობები (+15.7%). ხოლო ამ სექტორთა უმეტესობამ ასევე ძლიერი ზრდა აჩვენა 2019 წლის I კვარტალთან შედარებით.
- ასევე, 2023 წლის I კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, მაღალი ზრდა დაფიქსირდა **მშენებლობის სექტორში** (+15.1%), რაც თანხვედრაშია სექტორში გაზრდილ მოთხოვნასთან.

* წინასწარი მონაცემები



ეკონომიკის ზრდა: ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზები - 2023

2023 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზი




- 2023 წლის ივლისში ფინანსთა სამინისტრომ განაახლა 2023 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზი. აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტრომ **მშპ-ს რეალური ზრდის** პროგნოზი გაზარდა 5.4%-მდე (+0.4 პპ).
- დამატებით, **საშუალო ინფლაციის პროგნოზი თითქმის განახევრდა** და 5.3%-დან 2.8%-მდე შემცირდა. ფინანსთა სამინისტრომ ასევე შეამცირა **ექსპორტის ზრდის** პროგნოზი (-1.8 პპ), თუმცა **იმპორტის ზრდის პროგნოზი** გაიზარდა (+2.8 პპ).



ეკონომიკური და ბიზნეს კლიმატი: BAG ინდექსი

BAG ბიზნეს კლიმატი




- 2023 წლის II კვარტალში, 2023 წლის I კვარტალთან შედარებით, **BAG ბიზნეს კლიმატი** 3.8 ქულით გაუმჯობესდა და რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. აღნიშნულ პერიოდში, გამოკითხული კომპანიების მიერ **მიმდინარე მდგომარეობის შეფასება** გაუმჯობესდა 4.0 ქულით, ხოლო მომდევნო 6 თვის **მოლოდინის მაჩვენებელი** გაუმჯობესდა 3.6 ქულით.
- 2023 წლის II კვარტალში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2023 წლის II კვარტალში, 2023 წლის I კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესდა **მშენებლობისა** და **მომსახურების** სექტორებში, ხოლო **მრეწველობისა** და **ვაჭრობის** სექტორებში გაუარესდა.



Research


საქართველოს ეკონომიკური კლიმატი



- ბიზნეს სექტორის მსგავსად, ქართველი ეკონომისტები პოზიტიურად აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას 2023 წლის II კვარტალში, თუმცა გაცილებით პესიმისტურად არიან განწყობილი მოლოდინის კუთხით. ეკონომისტების მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ უარყოფითია.
- 2023 წლის II კვარტალში ქართველი ეკონომისტების შეფასება გაუმჯობესდა როგორც 2023 წლის პირველი კვარტლის შეფასებასთან, ასევე, 2022 წლის მეორე კვარტლის შეფასებასთან შედარებით. მათი მოლოდინი კი გაუარესდა იმ ნეგატიურ პროგნოზთან შედარებით, რომელიც ეკონომისტებს მომდევნო ექვსი თვის მიმართ ჰქონდათ 2023 წლის I და 2022 წლის II კვარტლებში.



ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ინფლაცია




- 2023 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში **ინფლაცია** მნიშვნელოვნად შემცირდა, 9.4 პროცენტული პუნქტიდან (პპ) 0.6 პპ-მდე.
- 2023 წლის პირველ ნახევარში შემცირებული ინფლაციის მთავარი **კონტრიბუტორები** არიან: ინფლაციის დაბალი მაჩვენებლები სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების კატეგორიებში, ასევე დეფლაცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის და ჯანმრთელობის დაცვის სექტორებში.

* სფი-სა და დანარჩენი ცვლადებისთვის გრაფიკზე სხვადასხვა ღერძების გამოყენების გამო, სფი ხაზი შეიძლება ვიზუალურად უფრო მაღალი გამოჩნდეს ვიდრე სხვები.



ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ინფლაცია

სამომხმარებლო კალათის კატეგორიების კონტრიბუცია საშუალო ყოველთვიურ წ/წ ინფლაციაში მოცემულ წელს (6 თვე)




- 2023 წელს საქართველოში ინფლაციას შემცირების ტენდენცია აქვს. **საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) პროგნოზის** მიხედვით, ინფლაცია მოკლევადიან პერიოდში მის მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელზე დაბალი იქნება, შემდგომ მას, საბაზო ეფექტის გათვალისწინებით, დროებით გადააჭარბებს და საშუალოვადიან პერიოდში მის გარშემო დასტაბილურდება.
- 2023 წლის 6 თვეში, 2022 წლის 6 თვესთან შედარებით, **საბაზო ინფლაცია მინიმალურად შემცირდა** (-0.1 პპ) და 5.4% შეადგინა, რაც მიანიშნებს, რომ ინფლაციის შემცირების მიუხედავად, ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში კვლავ შეინიშნება წნეხი ფასებზე, რაც კითხვის ნიშნებს აჩენს გაუმჯობესების პერსპექტივებზე.

* სფი-სა და დანარჩენი ცვლადებისთვის გრაფიკზე სხვადასხვა ლერძების გამოყენების გამო, სფი ხაზი შეიძლება ვიზუალურად უფრო მაღალი გამოჩნდეს ვიდრე სხვები.




ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ფასები


ვაჭრობის სექტორი




მომსახურების სექტორი



მრეწველობის სექტორი



მშენებლობის სექტორი



■ გაიზრდა ■ უცვლელი ■ შემცირდა


- 2023 წლის II კვარტალში გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 13%-მა გაზარდა **გაყიდვების ფასები**. რაც შეეხება 2023 წლის III კვარტლის **მოლოდინს**, გამოკითხულ კომპანიათა 15% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას.
- სექტორებს შორის, 2023 წლის II კვარტალში, ფასების ზრდას პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია **მშენებლობის** სექტორში აფიქსირებს, რაც შესაძლოა, უკავშირდებოდეს უძრავ ქონებაზე მოთხოვნის გაზრდას.
- ფასების ზრდის დინამიკა ყველაზე ნაკლებად **მრეწველობის** სექტორში შეინიშნება, ვინაიდან არცერთ გამოკითხულ კომპანიას არ გაუზრდია ფასები თავიანთ პროდუქციაზე 2023 წლის II კვარტალში.

* მოლოდინები




ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები: ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები & მონეტარული პოლიტიკა

ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



- 2023 წლის ივნისში, დაფიქსირდა **ოფიციალური სარეზერვო აქტივების** რეკორდული მაჩვენებელი - 5.1 მილიარდი აშშ დოლარი, რაც 2022 წლის ივნისთან შედარებით 29.2%-ით იყო გაზრდილი. საერთაშორისო რეზერვების ზრდა დიდწილად განპირობებული იყო ეროვნული ბანკის მიერ **უცხოური ვალუტის** შეძენით.
- 2023 წლის აგვისტოში, ინფლაციის ტენდენციებისა და პროგნოზის გათვალისწინებით, სებ-მა 0.25 პპ-ით შეამცირა **მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი** და 10.25%-მდე დაწია.




Research



შრომის ბაზარი: დასაქმება

შრომის ბაზრის მაჩვენებლები



— უმუშევრობის დონე — სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე — დასაქმების დონე


- 2023 წლის I კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, **სამუშაო ძალა** გაიზარდა 4.1%-ით, ხოლო **სამუშაო ძალის გარეთ მოსახლეობა** 4.2%-ით შემცირდა.

ათასი კაცი	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022	I კვ. 2023
სამუშაო ძალა	1490.7	1551.5	1609.4	1554.7	1551.1
დასაქმებული	1201.1	1269.9	1358.6	1305.2	1271.9
სამუშაო ძალის გარეთ	1496.3	1458.9	1396.8	1397.4	1434.2
უმუშევარი	289.6	281.6	250.7	249.5	279.2




შრომის ბაზარი: დასაქმება

BAG დასაქმების ბარომეტრი



II კვ. 2021 III კვ. 2021 IV კვ. 2021 I კვ. 2022 II კვ. 2022 III კვ. 2022 IV კვ. 2022 I კვ. 2023 II კვ. 2023



- 2023 წლის პირველ ნახევარში, საშუალოდ, BAG დასაქმების ბარომეტრმა 38.0 ქულა შეადგინა, რაც 11.7 პუნქტით მაღალი იყო 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით.
- 2023 წლის პირველ ნახევარში ბარომეტრში ყველაზე მაღალი საშუალო ქულა მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა (75.5), ყველაზე დაბალი კი მომსახურების სექტორში (29.5).

*კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „შარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების „შარდი“-სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შენონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.




Research



შრომის ბაზარი: დასაქმება ბიზნეს სექტორში

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით




- 2023 წლის I კვარტალში, 2022 წლის I კვარტალთან შედარებით, საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 6.3%-ით გაიზარდა და 667 ათასზე მეტი ადამიანი შეადგინა.
- საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა უმეტესობა 2023 წლის პირველ კვარტალში ვაჭრობის სექტორში იყო დასაქმებული, რაც 180 ათასზე მეტ ადამიანს შეადგენდა.
- საქართველოში ICT სექტორის ბუმის პარალელურად, დასაქმებულთა ყველაზე მაღალი ზრდა ამ სექტორში დაფიქსირდა. ICT ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა წლიურმა ზრდამ 30.8% შეადგინა.



შრომის ბაზარი: ვაკანსიები


Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა



- დადებითი ტენდენცია იკვეთება Jobs.ge-ზე გამოქვეყნებულ ვაკანსიებშიც, 2023 წლის პირველ ნახევარში ვაკანსიების რაოდენობა 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.0%-ით გაიზარდა.
- თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვაკანსიების რაოდენობის ზრდა 2023 წლის პირველ 6 თვეში მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2022 წლის პირველ 6 თვეში დაფიქსირებულ წლიურ ზრდას (51.0%).



შრომის ბაზარი: ბევერიჯის მრუდი



- სეზონურად შენონილი ბევერიჯის მრუდის მიხედვით, I კვ. 2023-ში, IV კვ. 2022-თან შედარებით, უმუშევრობის დონე და ვაკანსიების გამოცხადების დონე გაიზარდა, შესაბამისად, შრომის ბაზრის ეფექტიანობა დაუბრუნდა III კვ. 2022-ში დაფიქსირებულ დონეს.
- პოსტ-პანდემიურ პერიოდში შრომის ბაზრის ეფექტიანობა ჩამორჩება პანდემიამდელს, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით, როგორებიცაა: კადრების გადინება მომიჯნავე სექტორებში ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების გამო, სამუშაო ძალის მიგრაცია, სამუშაოს მაძიებლების სარეზერვო ხელფასის ზრდა.

* ბევერიჯის მრუდი - დასაქმების თრეკერი

ბევერიჯის მრუდი PMC RC-მა საქართველოს ეროვნული ბანკის დახმარებითა და Jobs.ge-სთან პარტნიორობით ააგო.


წყარო: PMC კვლევითი ცენტრი



Research



შრომის ბაზარი: ხელფასები



- 2023 წლის II კვარტალში ყოველთვიური ხელფასის მიმღებთა რაოდენობა 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.2%-ით გაიზარდა.
- BAG ინდექსის მიხედვით, კომპანიათა 32%-მა 2023 წლის მეორე კვარტალში გაზარდა თანამშრომლების ხელფასები, ხოლო მათმა უმეტესობამ თანამშრომლების ხელფასები 0-20%-ის ფარგლებში გაზარდა.
- აღსანიშნავია, სებ-ის მიხედვით, ბოლო პერიოდში კომპანიებმა ხელფასები გაზარდეს მათი მოგების ზრდის ტემპის შემცირები ხარჯზე. შესაბამისად, დიდი ალბათობით, საქართველოში ხელფასი-ფასის სპირალის განვითარებას ადგილი არ აქვს.


* შემოსავლების სამსახურის მონაცემები არ არის საბოლოო და შეიძლება მცირედით გაიზარდოს. (ბოლოს ნანახია 26.07.2023). მონაცემები აღნიშნავს დარიცხულ ხელფასს.

** 0-599 ლარისა და 600-1199 ლარის მიმღებ პირთა წილი 2021 წლისა და 2022 წლის მეოთხე კვარტალში სავარაუდოდ გამოწვეული იყო დეკემბერში მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით.



შრომის ბაზარი: ხელფასები

ნომინალური და ინფლაციაზე მორგებული დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასი, 2015-2022




- საქართველოში 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, დაქირავებით დასაქმებულთა **ნომინალური ხელფასი** 22.0%-ით გაიზარდა. თუმცა **ინფლაციის გათვალისწინებით**, 2022 წელს ხელფასების ზრდამ მხოლოდ 9.1% შეადგინა.
- აღსანიშნავია, რომ მშპ-ს რეალური ზრდა 2015-იდან 2022 წლამდე შეადგენდა 34.7%-ს, რაც ორჯერ აღემატება ინფლაციაზე მორგებული ხელფასის ზრდას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში **მშპ-ს რეალური ზრდა** პროპორციულად არ აისახებოდა **მუშახელის ხელფასებზე**.

* წინასწარი მონაცემები




საქართველოს ექსპორტ-იმპორტი და მათი ზრდის ტემპი ნ/ნ (6 თვე)



- 2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოს **საგარეო სავაჭრო ბრუნვა** 10.3 მილიარდი აშშ დოლარი იყო, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 20.1%-ით მაღალია.
- 2023 წლის პირველ 6 თვეში საქართველოს **ექსპორტი** 3.1 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც **19.3%-ით მეტია** 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამავდროულად, საქართველოში 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით **იმპორტი 20.4%-ით** გაიზარდა და 7.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.
- 2023 წლის პირველ ნახევარში საქართველოს **სავაჭრო დეფიციტი** წლიურად გაიზარდა **0.7 მილიარდი აშშ დოლარით** (21.3%).




საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან, ჩინეთთან და ევროკავშირთან (6 თვე)



- 2023 წლის პირველ ნახევარში, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს **სავაჭრო ბრუნვა** გაიზარდა რუსეთთან (32.0%) და ევროკავშირთან (21.1%) და შემცირდა ჩინეთთან (-13.9%).
- 2023 წლის პირველ ნახევარში რუსეთთან და ევროკავშირთან **ვაჭრობის წილი** გაიზარდა. თუმცა, ჩინეთთან ვაჭრობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა ექსპორტის ხარჯზე, რის შედეგადაც ჩინეთის წილი 2019 წლის დონემდე დაბრუნდა (8%-ზე ნაკლები).




უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი (6 თვე)



- 2023 წლის პირველ ნახევარში, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში მკვეთრად შეიცვალა. კერძოდ, პირველ ადგილზე გადაინაცვლა მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა და საერთო ექსპორტის 32.5% შეადგინა (+21.9 კპ, ნ/წ). მნიშვნელოვნად შემცირდა სპილენძის მადნების წილი (-9.7 კპ, ნ/წ), რაც ბაზარზე მისი ფასის კლებითა და მოთხოვნის შემცირებითაა განპირობებული.
- აღსანიშნავია, რომ საქართველო შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციას და 1-ელი აგვისტოდან შეიზღუდა ამერიკიდან მანქანების ექსპორტი რუსეთში/ბელარუსში. შეზღუდვა სექტემბრიდან ასევე გავრცელდება ევროპიდან შემოყვანილ მანქანებზეც.




უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილი (6 თვე)



- 2023 წლის პირველ ნახევარში, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილი მთლიან იმპორტში ძირითდად უცვლელი დარჩა. კერძოდ, პირველ ადგილზე კვლავ მსუბუქი ავტომობილების იმპორტია, საერთო იმპორტის 18.2%-ით (+6.9 პპ, ნ/წ).
- ასევე, ექსპორტის მსგავსად, მნიშვნელოვნად შემცირდა სპილენძის მადნების წილი იმპორტში (-4.0 პპ, ნ/წ), შესაბამისად, 2023 წლის პირველ ნახევარში სპილენძის მადნები უმსხვილეს ხუთ საიმპორტო საქონელში აღარ შედიოდა.



საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა და მათი შედარება 2019 წლის შესაბამის პერიოდთან




- 2023 წლის პირველ ორ კვარტალში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობის* მნიშვნელოვანი აღდგენა დაფიქსირდა. თუმცა, სრულად ვერ აღდგა პანდემიამდელ დონემდე.
- მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა სრულად არ აღმდგარა პანდემიამდელ დონემდე, საერთაშორისო ვიზიტორებისგან მიღებულმა შემოსავალმა უკვე გადააჭარბა პანდემიამდელ დონეს.

* აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც ჯერ საქართველო არ დაუტოვებიათ, არ შედიან აღნიშნულ სტატისტიკაში



საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი ქვეყნების მიხედვით (2023)




- 2023 წლის პირველ ნახევარში, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი* 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 57.9%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი - 23.9%-ით.
- 2023 წლის პირველ 6 თვეში, რუსეთიდან ჩამოსულ ვიზიტორთა შემოსავლის წილმა 26.7% შეადგინა (+7.6 პპ, ნ/ნ), ხოლო თურქეთიდან - 14.6% (+5.1 პპ, ნ/ნ) და ევროკავშირიდან ჩამოსული ვიზიტორთა შემოსავლის წილმა 12.0% (+1.4 პპ, ნ/ნ). მნიშვნელოვნად შემცირდა ბალარუს ვიზიტორთა* შემოსავლის წილი, რომელიც 2023 წლის პირველ 6 თვეში 2.7%-ს უტოლდებოდა (-8.0 პპ ნ/ნ).

* აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც 1 წელზე მეტი ვადით იმყოფებიან ან აპირებენ საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენას, ითვლებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათ მიერ განეული ხარჯები არ შედის საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებში.



იმიგრანტებისა და ემიგრანტების რაოდენობა, 2022



- 2022 წელს, მიუხედავად ეკონომიკის ზრდისა, საქართველოდან **ემიგრანტების** რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს, 100,000-ზე მეტ ადამიანს მიაღწია*. ასევე, 2022 წელს იმიგრანტების რაოდენობა ემიგრანტების ნახევარს გაუტოლდა და 54.4 ათასი ადამიანი შეადგინა.
- 2022 წელს, მიუხედავად ქართველების მნიშვნელოვანი გადინებისა, **წმინდა მიგრაცია** პოზიტიური იყო და რეკორდულ მაჩვენებელს, 54.5 ათასი ადამიანს მიაღწია**. აღნიშნული წმინდა მიგრაციის დადებითი რიცხვი ძირითადად გამოწვეული იყო იმიგრაციით რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიიდან.


* ოფიციალური მონაცემები, რომელიც ეყრდნობა შსს სასაზღვრო მონაცემებს, ხელმისაწვდომია 2012-2022 წლებზე.

** მონაცემები ხელმისაწვდომია 1994-2022 წლებზე.



საგარეო სექტორი: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში სექტორების მიხედვით




- 2023 წლის I კვარტალში საქართველოში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 496.6 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 13.7%-ით ნაკლებია 2022 წლის I კვარტალთან შედარებით. თუმცა, 269.9%-ით მეტია 2021 წლის I კვარტალთან შედარებით.
- 2023 წლის I კვარტალში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 45.6% (226 მილიონი აშშ დოლარი) მრეწველობის სექტორზე მოდიოდა, რაც დიდწილად განპირობებული იყო ჰოლანდიური კომპანიის Indorama Holdings B.V-ის მიერ განხორციელებულ ინვესტიციასთან, რომელმაც შეიძინა რუსთავი აზოტი - უმსხვილესი ქიმიური კომპანია სამხრეთ კავკასიაში.
- შესაბამისად, 2023 წლის I კვარტალში ინვესტორი ქვეყნების მიხედვით, საქართველოში მონიხავე პირდაპირი ინვესტორი ქვეყანა ნიდერლანდები იყო, რომელიც მთლიანი პირდაპირი ინვესტიციის 48.2%-ს (240 მლნ აშშ დოლარს) შეადგენდა, შემდეგ მოდიოდა იაპონია 12.7%-ით (63 მლნ აშშ დოლარი).



საგარეო სექტორი: ფულადი გზავნილები

ფულადი გზავნილები საქართველოში ქვეყნების მიხედვით (6 თვე)



- 2023 წლის პირველ ნახევარში ფულადი გზავნილები საქართველოში 32.5%-ით გაიზარდა 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, წინა წლის რეკორდულად მაღალი საბაზისო ეფექტითაც კი.
- 2023 წლის პირველ 6 თვეში ფულადი გზავნილების ზრდის მთავარი კონტრიბუტორი იყო რუსეთი, 50.1% წ/წ ზრდით, ხოლო მას მოყვებოდა აშშ (+39.9% წ/წ) და იტალია (+20.1% წ/წ).
- ძლიერი ზრდის მიუხედავად, ფულადი გზავნილების ქვეყნების დივერსიფიცირება შემცირებულია წინა წლებთან შედარებით, რადგან სხვა ქვეყნების წილი მთლიანი ფულადი გზავნილების 19.3%-მდე შემცირდა (-3.4 პპ, 23/22; -10.4 პპ, 23/21).




Research



საგარეო სექტორი: ფულადი გზავნილები

ფულადი გზავნილები საქართველოში



- რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, რუსეთიდან* ფულადი გზავნილების შემოდინებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოში ფულადი გზავნილების მთლიანი ოდენობა (2023 წლის 6 თვეში, ფულადი გზავნილების თითმის ნახევარი რუსეთზე მოდიოდა), რამაც შექმნა მნიშვნელოვანი განსხვავება მთლიან ფულად გზავნილებსა და რუსეთის გარეშე ფულად გზავნილებს შორის.
- თუმცა, 2023 წლის მაისში და ივნისში რუსეთიდან ფულადი გზავნილები წლიურ ჭრილში შემცირდა და მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო შემცირდება წლის მეორე ნახევარში, მაღალი საბაზისო ეფექტის გამო.

* მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან ფულადი გზავნილები მკვეთრად გაიზარდა 2022 წელს, ზრდის გარკვეული წილი არბიტრაჟის დამსახურებაა, რომელიც დეტალურადაა აღწერილი მაკრო მიმოხილვის მე-2 გამოცემაში (საგარეო სექტორი: ფულადი გზავნილები).



გლობალური ეკონომიკური ტენდენციები: მოკლევადიანი მდგრადობა

- **გლობალური აღდგენა** COVID-19-ის პანდემიისა და რუსეთის უკრაინაში შეჭრისგან **ნელდება**, ეკონომიკურ სექტორებსა და რეგიონებს შორის მზარდი განსხვავებების ფონზე.
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის, (IMF) „World Economic Outlook“-ის ივლისის გამოცემის მიხედვით, 2023 წლის ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 3.5%-ს შეადგენს, რაც თავდაპირველად მოსალოდნელს მცირედით აღემატება.
- შემდეგი ფაქტორებით განისაზღვრება **დადებითი მოლოდინები**:
 - ენერჯის დაბალი ფასისა და ხარჯების შემცირების გამო, შესაძლოა, **საბაზო ინფლაცია** უფრო სწრაფად შემცირდეს, ვიდრე მოსალოდნელი იყო.
 - ვაკანსიების შემცირებამ, შესაძლოა, შეამციროს **სიმჭიდროვე შრომის ბაზრებზე**.
 - პანდემიის პერიოდში **დაგროვილმა დანაზოგებმა**, შესაძლოა, მომხმარებელთა მოთხოვნის გარკვეული დონე შეინარჩუნოს და მოხმარება გაიზარდოს.
- შემდეგი ფაქტორებით განისაზღვრება **რისკები**:
 - მჭიდრო შრომის ბაზრებმა და გაცვლითი კურსის გაუფასურებამ, შესაძლოა, გაზარდოს **ინფლაცია** და გართულდეს გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების მართვა რიგ ქვეყნებში.
 - გეოპოლიტიკური დაძაბულობით გამოწვეულმა **გეოეკონომიკურმა ფრაგმენტაციამ**, შესაძლოა, წარმოქმნას ახალი სავაჭრო შეზღუდვები და შეაფერხოს გლობალური თანამშრომლობა.
 - **ჩინეთის ეკონომიკა**, შესაძლოა, მოსალოდნელზე ნაკლებად აღდგეს, რაც ნეგატიურად იმოქმედებს სავაჭრო პარტნიორებსა და რეგიონულ ეკონომიკაზე.



გლობალური ეკონომიკური ტენდენციები: მდგომარეობა საქართველოში

- საქართველოს ეკონომიკა მკვეთრად განსხვავდება გლობალური სურათისგან, რაც განპირობებულია მისი უნიკალური ზრდის ფაქტორებით, გამონწვევებითა და სტრუქტურული თავისებურებებით.
- **განსხვავებას** შემდეგი ფაქტორები წარმოაჩენს:
 - მიუხედავად გლობალურად კოზიტიური ტენდენციისა **საბაზო ინფლაციაზე**, საქართველოში 2023 წლის პირველ ნახევარში საბაზო ინფლაცია წლიურად მხოლოდ 0.1 პპ-ით შემცირდა.
 - IMF-ის პროგნოზის მიხედვით, მსოფლიოში **ინფლაცია** 2023 წელს 6.8%-ს შეადგენს. ხოლო საქართველოში, ფინანსთა სამინისტროს პროგნოზის მიხედვით, 2023 წელს ინფლაცია გაცილებით დაბალი იქნება და 2.8%-ს გაუტოლდება.
 - მიუხედავად იმისა, რომ **ვაკანსიების რაოდენობა** გლობალურად მცირდება, საქართველოში ეკონომიკის ხელახალი გახსნის შემდეგ ვაკანსიების მუდმივი ზრდა შეინიშნება, რაც შრომის ბაზრის სიმჭიდროვეს ზრდის.
 - მსოფლიოში **გაცვლითი კურსის** გაუფასურების გამო ინფლაციის ზრდის რისკის მიუხედავად, ლარი შედარებით ძლიერია, რაც განპირობებულია ფულადი გზავნილების სტაბილური ნაკადითა და ტურიზმის სექტორის აღდგენით.

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში არაფერი არ წარმოადგენს ან გულისხმობს რაიმე სახის რჩევას და შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე და ცნობს შესაბამის რისკებს. PMC კვლევითი ცენტრი არ იქნება პასუხისმგებელი მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება; ან რომ
- პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევის ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეული ნებისმიერი ზიანის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევითი ცენტრი არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასთან ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესაზებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევარებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიების, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევითი ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

შოთა მაჭარაშვილი
უმცროსი მკვლევარი
sh.matcharashvili@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3
სართული, თბილისი, 0102,
საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა:
research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org



Research